

დუცენკო: "კურჩენკოს ფუდით ნაყიდი სააკაშვიდი უკრაინელების მურგსუკან იმალება"



უკრაინის გენერალური პროკურორი იური დუცენკო ირწმუნება, რომ მიხეილ სააკაშვილის დაკავების მცდელობისას სამართადამცავები კანონის შესაბამისად მოქმედებდნენ. მისი თქმით, სამართადამცველებს უფლება ჰქონდათ სააკაშვილისთვის

ცეცხლი გაეხსნათ.

„აღშფოთებული ვარ გუშინ განვითარებული მოვლენების გამო, ბატონ სააკაშვიდზე ძებნაა გამოცხადებული. უკრაინის უშიშროების საბჭომ და შინაგან საქმეთა სამინისტრომ ის უნდა დააკავონ. ეს არის კანონიერი და აუცილებელი ქმედება ნებისმიერი სახელმწიფოში.“

ჩვენ შეგვეძლო ვყოფილიყავით უფრო ეფექტური. უკრაინის უსაფრთხოების სამსახურის ის 12 თანამშრომელი, რომელსაც სააკაშვიდი გუშინ დაკითხვაზე გადაჰყავდა, AT0-ს მონაწილეა. ყველა მათგანმა ბრძოლა გამოიარა. მათ, კანონით, ცეცხლი უნდა გაეხსნათ. მაგრამ, ჩვენ სახელმწიფოზე ვფიქრობთ, სააკაშვიდი კი, რომელიც მოტყუებული და კურჩენკოს ფუდითაა ნაყიდი, უკრაინელების მურგსუკან იმალება და პირად კომფორტზე ფიქრობს. ჩვენ სახელმწიფოზე ფიქრს ვაგრძელებთ და ამის გამო ჩვენთვის მინიჭებულ უფლებებს ხანდახან არ ვიყენებთ, მაგრამ სააკაშვილს მაინც დავაკავებთ,“- განაცხადა დუცენკომ და სააკაშვილს კიდევ ერთხელ მოუწოდა, დაკითხვაზე ნებაყოფლობით გამოცხადდეს.

დუცენკოს თქმით, ყველაზე კარგი, რაც სააკაშვილს შეუძლია გააკეთოს, თუ კაცია და თუ ცოტათი მაინც უყვარს უკრაინა – მივიდეს დაკითხვაზე, რადგან ეს ერთადერთი გზაა, რომ უკრაინა არ გაანადგუროს. გენერალური პროკურორი აღნიშნავს, რომ სააკაშვილს ბრადლები დადგენილება მისამართზე გაეგზავნა, დღის ბოლოსთვის დადგენილება უკვე ჩაბარებულად ჩაითვლება და სააკაშვილს ეჭვმიტანილის სტატუსი მიენიჭება.

მიხეილ სააკაშვილი კიევში გუშინ დააკავეს, თუმცა მხარდამჭერებმა ის მიკროავტობუსიდან დაიხსნეს. ბოქვირდადებური ოდესის ყოფილი გუბერნატორი ხარხის წინაშე სიტყვით გამოვიდა და გენერალური პროკურორის ბრადლებას ტყუილი უწოდა.